ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01252462650**
თარიღი: **03/09/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს
თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2025 წლის 1_ლი სექტემბრის N 17-01252443541-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დიდი დიღომი 4 მ/რ, N29 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.07.004.070) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის ცვლილების (AR11076556) შეთანხმების საკითხს, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შეისწავლა წარმოდგენილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ დადებითი პოზიცია დააფიქსირა არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე 2022 წლის 14 მარტის N 17-01220733626-16 წერილის პასუხად N 16-01220773237 წერილით.

ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სააგენტოს პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები, თანხმობის წერილებთან ერთად შესაბამის ველში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის ცვლილების შეთანხმების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი